საქართველო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება N 49 114

02/02/2021

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით დევდარიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) მანანა ბარბაქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი:

გ) კახაბერ გოლუბიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

დ) პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის წევრი;

ე) ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ვ) ინგა ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის მე-II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძრვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი.

ზ) თეა ბერიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის მე-II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,

ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

2. **განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის წევრების ფუნქციები შემდეგი სახით:**

ა) დავით დევდარიანი - ჯგუფის თავმჯდომარე - პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან;

ბ) მანანა ბარბაქაძე - ჯგუფის წევრი - საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

გ) კახაბერ გოლუბიანი - ჯგუფის წევრი - ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ -ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;

დ) პეტრე შარიქაძე - ჯგუფის წევრი - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება;

ე) ვლადიმერ გელაშვილი- ჯგუფის წევრი- პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხის განხილვა;

ვ) თეა ბერიძე -ჯგუფის წევრი-მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის facebook - გვერდის მეშვეობით, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;

ზ) ინგა ლურსმანაშვილი - ჯგუფის წევრი- მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხრდაჭერა.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 180-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მის: დ. ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N48).

კობა ლურსმანაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი